სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს,

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. მეტეხთან მეფრინველეობის ფერმის (1 800 000 სადგომით ქათმებისთვის) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას. პროექტზე გაცემულია სკოპინგის დასკვნა №47.

წერილს თან ერთვის,

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - ნაბეჭდი ვერსია 1 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - ნაბეჭდი ვერსია 1 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი - ნაბეჭდი ვერსია 2 ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი;
- სკოპინგის დასკვნაზე რეაგირების ერთიანი ცხრილი - ელექტრონული ვერსია;
- საჯარო რეესტრიდან ამონაწერი შპს „ჯი პი პი"-ს რეგისტრაციასთან დაკავშირებით;
- საპროექტო არეალის სქემატური რუკა ბეჭდური და ელექტრონული ფორმით;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები shp ფაილების სახით.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მიიღოთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

პატივისცემით,

გიორგი ფირცხალაიშვილი

შპს „ჯი პი პი"-ს დირექტორი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
10 - 10 2022 წ.
№ 5497